

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი
ანრი



„ვამტკიცებ“

შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორი

ა.დიასამიძე
26.01.2018 წ.

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა


Regulation for
Senate of BHMES ANRI, LLC

ნდ № 2-010109

A large, stylized handwritten signature in blue ink, written over a horizontal line.

„შემუშავებული“
ბმს მენეჯერი
რუსუდან დიასამიძე
26.01.2018

ბათუმი




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერის რუსუდან დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის გენერალური დირექტორის მიერ (2018 წლის 26 იანვრის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N3);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს შპს ბუსსს ანრიში წინამდებარე დოკუმენტების გამოყენების შედეგების მიხედვით, ან იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შეცვლისას, რომელთა საფუძველზეც არის შემუშავებული არსებული დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა*

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

პროცედურაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის № (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნომატიული მითითებები.....	5
3. ტერმინები, განსაზღვრებები, შემოკლებები	5
4. ზოგადი დებულება. აკადემიური საბჭოს არჩევა	6
4.1 სენატის არჩევა	6
4.2 სენატის უფლებამოსილებები	7
4.3 სენატის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა	7
4.4 დღის წესრიგი	7
4.5 გადაწყვეტილების მიღება.....	8
4.6 ხმის მიცემა	8
4.7 ოქმის წარმოება	8
4.8 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი	8
4.9 დებულების ძალაში შესვლა	8
5. კონფიდენციალურობა	9
6. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი	10
7. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი	11
8. შეთანხმების ფურცელი.....	12



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ვრცელდება და წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს შპს ბუსსს ანრის სენატის წევრებისთვის.
2. დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში, ელ.ვერსაი განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებგვერდზე.
3. არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება საჭიროებისამებრ შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები


- 2.1 არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნები:
1. სს ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
 2. სს ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
 3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
 4. ნდ №2-010101 შპს ბუსსს ანრის წესდება;
 5. ნდ N2-020101 - ხარისხის სახელმძღვანელო
 6. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა;
 7. ნდ 2-0201-02- დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის, დოკუმენტალური უზრუნველყოფის პროცესის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

არსებულ დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

3.1. ტერმინები, განმარტებები

1. **სენატი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო;
2. **ნორმატიული დოკუმენტი** - რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
3. **პერიოდული შემოწმება** - არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
4. **სასწავლო განყოფილება-საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
5. **ხარისხის უზრუნველყოფა** - შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმარლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
6. **ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის წესდების შესაბამისად მოქმედი სტრუქტურული ერთეული, რომლის დანიშნულებაცაა სასწავლო და სამეცნიერო მუშაობისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების სისტემატიური შეფასება, აგრეთვე შპს ბუსსს ანრის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სრულყოფა, ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 მოთხოვნათა შესაბამისად;
7. **აკადემიური ხარისხი** - ხარისხი, რომელიც მიენიჭება პიროვნებას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი უმაღლესი განათლების საფეხურის დამთავრებისას;
8. **აკადემიური წოდება** - წოდება (საპატიო დოქტორი, ემერიტუსი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ენიჭება უცხო ქვეყნის მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან საქართველოს მოქალაქეს აკადემიურ მოღვაწეობაში პროფესიული აღიარებისათვის;



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შპს ბუსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

- 9. პროფესორი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელიც უძღვება სასწავლო პროცესს და ხელმძღვანელობს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
- 10. ასისტენტ-პროფესორი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს;
- 11. ასოცირებული პროფესორი** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;
- 12. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება** - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება, რომლის ძირითადი საქმიანობაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან და ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს/ხარისხებს ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამის კვალიფიკაციას

3.2. შემოკლებები


- 1. შპს ბუსს ანრი** - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი (ტექსტში ასევე შეიძლება შეგვხდეს, როგორც **სასწავლებელი**);
- 2. მფ** - მოქმედი ფორმა;
- 3. ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი;
- 4. ხარისხის სამსახური** - შპს ბუსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური;
- 5. ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

4. ზოგადი დებულება

4.1 “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სენატის არჩევა ხდება შემდეგნაირად:

სენატს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლეს/ადმინისტრაციულ წარმომადგენლობით და რექტორის სათათბირო ორგანოს, რომლის წევრებიც აირჩევიან კენჭისყრით და ბრძანებით. სენატში რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შეიძლება შევიდნენ სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრები, ხარისხის სამსახურის თანამშრომელი, ფინანსური მენეჯერი და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. საჭიროებისამებრ მოიწვევა სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენლები. სენატში სტუდენტთა თვითმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს სენატის შემადგენლობის ერთ მეოთხედს.

1. სენატში სასწავლებელს ყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი სპეციალობების / მიმართულებების მიხედვით;
2. სენატის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი;
3. სენატის წევრად აირჩევა სასწავლებლის თანამშრომელი, ასევე პროფესორის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი;
4. გარდა აკადემიური პერსონალისა, სენატის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას იმ დარგის სპეციალისტები - კაპიტნები, უფროსი მექანიკოსები, ელექტროკოსები და სხვა, რომლებიც ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში;
5. სეტანის შემადგენლობა განახლება/ წევრების ცვლილება ხდება გენერალური დირექტორის/რექტორის ბრძანებით;
6. სენატის მოწვევა ხდება გენერალური დირექტორი/რექტორის ან სენატის წევრთა ერთი მეოთხედის ინიციატივით. სენატის სხდომას თავმჯდომარეობს გენერალური დირექტორი/რექტორი ან, მისი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა


Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

არყოფნის შემთხვევაში, სენატის ერთ-ერთი წევრი გენერალური დირექტორი/რექტორის დავალებით;

7. სენატის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სენატის სიითი შემადგენლობის ნახევარი მაინც;
8. სენატის გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით, გარდა ადმინისტრაციული თანამდებობის არჩევისა, ამ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება სენატის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა.
9. სენატის სხდომაზე ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, მათ შორის სასწავლო პროგრამების, სილაბუსების, სხვადასხვა გეგმების, ნდ-ის და სხვა საჭირო დოკუმენტაციის დამტკიცება. სენატის უფლებამოსილება მოცემულია არსებული დებულების 3.4.2-ში.

4.2 სენატის უფლებამოსილებები

1. ამტკიცებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ, ერთწლიან სამოქმედო და სხვადასხვა სახის გეგმებს;
2. ამტკიცებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, მოსამზადებელ, საწვრთნელ პროგრამებს;
3. ხარისხის სამსახურის წარდგენით ამტკიცებს სასწავლებლის შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს;
4. ხარისხის სამსახურის წარდგენით განიხილავს და ამტკიცებს ხმს ანალიზს;
5. ხარისხის სამსახურის წარდგენით განიხილავს შიდა შემოწმების შედეგებს და ამტკიცებს საჭირო დოკუმენტაციას;
6. ხარისხის სამსახურის წარდგენით განიხილავს გარე შემოწმებების ანგარიშებს და ამტკიცებს მაკორექტირებელი და გამაფრთხილებელი ქმედებების გეგმას;
7. ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შემუშავებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობის, ინტეგრირებული სწავლების და კვლევითი პროგრამების შექმნას;
8. ხელს უწყობს პედაგოგიური პერსონალის მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლებას, აწყობს ტრენინგ-კურსებს, აგზავნის მიზნობრივი მივლინებით სხვ. ტიპის სემინარებზე, ვორკშოპებსა და მომზადება/გადამზადების სასერტიფიკაციო კურსებზე;
9. თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს რექტორს;
10. მონაწილეობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და სხვადასხვა ხელმძღვანელ-თანამდებობაზე მყოფი პირის წლიური ანგარიშის განხილვაში;
11. ვინაიდან სასწავლებელში არის მხოლოდ ერთი ფაკულტეტი სენატი ასრულებს ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციას;
12. სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას;
13. ადგენს სხვა აკრედიტირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების აღიარების წესს. ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზრაირების ორენობასა და პირობებს;
14. სენატი ასევე წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ ორგანოს;
15. ირჩევს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განყოფილებების ხელმძღვანელებს;
16. სენატის წევრის (აკადემიური პერსონალის წარმომადგენლის) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სენატის ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში ხმათა უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად უფლებამწევეტილი წევრის დარჩენილი ვადით;
17. სენატი ასევე განიხილავს და ამტკიცებს შპს ბუსსს ანრის სხვა განყოფილებების დოკუმენტაციას, საკითხებს, დებულებებს გადაწყვეტილებას შპს ბუსსს ანრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

4.3 სენატის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. სენატის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს გენერალური დირექტორის/რექტორის აპარატი, რომელიც პასუხისმგებელია სენატის წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებაზე;
2. სენატს თავმჯდომარეობს სასწავლებლის გენერალური დირექტორი/რექტორი, გენერალური დირექტორი/რექტორის არყოფნის შემთხვევაში გენერალური დირექტორი/რექტორის დავალებით გენერალური დირექტორი/რექტორის მ.შ. ან გენერალური დირექტორი/რექტორის მოადგილე.

4.4 დღის წესრიგი

1. გენერალური დირექტორი/რექტორთან შეთანხმებით წინასწარ დგინდება სენატის სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხა, რომელიც წინასწარ (როგორც წესი ერთი კვირით ადრე) გადაეცემა ზეპირად ან საჭიროებისამებრ წერილობით სენატის წევრებს;
2. სენატის წევრები უფლებამოსილი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც გენერალური დირექტორი/რექტორს უნდა ეცნობოს სხდომამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე.

4.5 გადაწყვეტილების მიღება


1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სენატი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3.
2. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

4.6 ხმის მიცემა

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სენატის სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა);
2. სენატის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ;
3. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება სენატის წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება;
4. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს;
5. ბიულეტენის შევსებისას სენატის წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით;
6. ამ პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

4.7 ოქმის წარმოება

1. სენატის თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი.
2. ოქმი მოიცავს:
 - ოქმის ნომერს;
 - სხდომის თარიღს;
 - სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
 - დღის წესრიგს;
 - სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს;
 - დადგენილებებს
3. ოქმის ბოლო გვერდზე ხელს აწერს სენატის თავმჯდომარე და მდივანი, აქვე დაისმება სასწავლებლის ბეჭედი.
4. ოქმზე გაცნობას წევრები ადასტურებს ზელმოწერით ოქმის ბოლო გვერდის გარე მხარეზე.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

4.8. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი


1. სენატის დებულებაში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება არსებული დებულების 4.4 და 4.5 პუნქტების შესაბამისად, ასევე ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შეცვლისას, რომელთა საფუძველზეც არის შემუშავებული არსებული დებულება.

4.9. დებულების ძალაში შესვლა

1. სენატის დებულება ძალაში შედის დებულების გენერალური დირექტორის/რექტორის დამტკიცების შემდეგ.

5. კონფიდენციალურობა

არსებული დებულება წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

6. დებულების პერიოდული შემოწმების აღიჯვის ფურცელი

	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები




**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**შპს ბუსსს ანრის სენატის
დებულება**

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

7. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	გურამ ქათამაძე	სასწავლო განყოფილების უფროსი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
2	მზია დიასამიძე	გენერალური დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
3	ნუნუ მიქელაძე	სასწავლო განყოფილების საქმისმწარმოებელი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
4	თამთა ჩხეიძე	საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
5	ხატია მენაბდე	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის საქმისმწარმოებელი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
6	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის უფროსი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
7	ქუჩუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
8	ირაკლი გოგიტიძე	სამეურნეო დარგის მენეჯერი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
9	სოფიკო მამულაძე	ბუღალტერი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
10	ირაკლი ბეჟანიძე	IT ოპერატორი	05.02.2018	26.01.18	<i>[Handwritten Signature]</i>
11					
12					
13					
14					
15					
16					
17					
18					
19					
20					
21					
22					
23					



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

შპს ბუსსს ანრის სენატის
დებულება

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

8. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

შპს ბუსსს ანრის სენატის დებულება

Regulation for Senate of BHMES ANRI, LLC

ნდ N-2-010109

1.2 დებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი რუსუდან დიასამიძე

1.3 შემსრულებელი _____

Handwritten signature

ნაწილი 2.

შეთანხმება

№	შეთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	ადმინისტრაციის უფროსი რუსლან დიასამიძე	<i>Handwritten signature</i>	26.01.18		
2	გენერალური დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში მზია დიასამიძე	<i>Handwritten signature</i>	26.01.18		
3	წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ბოგდანოვი	<i>Handwritten signature</i>	26.01.18		

დოკუმენტი შესათანხმებლად წარადგინა _____

ხელმოწერა

გვარი, სახელი

თარიღი

Handwritten signatures and date: 26.01.2018